572/1952/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

58

ლილა

„ბაკაკადი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ შხარეო,
და შენც, ქართველო, ხუავლითა
სამშობლო გაახარეო!“

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყველთვიური საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

572/2

№ 1 იანვარი 1952

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

ნახატი გ. ფოცხიშვილისა

ლენინის აკლდამასთან

თოვდა. ბროლის ფიფქებით
ქუჩა გადაღამაზდა.
ოცნებებით, ფიქრებით
კრემლთან შევდექ ანაზდათ;
ჩუმი სევდა-ნალვეღით
იდგა ბევრი მნახველი,
ახალ ქვეყნის მამასთან,—
ლენინის აკლდამასთან.

იდგა ბევრი მნახველი:
რუსი, უკრაინელი,
სლოვაკი და ქართველი,
უნგრელი და ჩინელი;
რიგში ჩავდექ ანაზდათ,
კრემლთან კრძალვით მივეღი,
ახალ ქვეყნის მამასთან,—
ლენინის აკლდამასთან.

და მას შემდეგ ყოველთვის
გული იქეთ მიმეღტვის,
ვინც ამ ქვეყნად ანათებს
კაცთა გულთამხილველად;
როცა მოსკოვს ვეწვევი,
კრემლთან ვდგავარ პირველად;
ახალ ქვეყნის მამასთან,—
ლენინის აკლდამასთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

572/572/2

5413



საქ. სახელმწიფო
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინი

რატომ გვიყვარს მზის ქვეყანა, უხვი, თვალუწვდენელი?—
აქ ერთობას ამკვიდრებდა, აქ ცხოვრობდა ლენინი.

რატომ გვიყვარს ჩვენი ხალხი, გმირი, გამოჩენილი? —
მუდამ, სპეტაკ სიმართლისთვის, ხალხს უყვარდა ლენინი.

რატომ გვიყვარს მომავალი, ცისკრად ამოვლენილი? —
ჩვენს ბედნიერ ცხოვრებაზე ოცნებობდა ლენინი.

რატომ გვიყვარს მზის ნათელი, დროშა ცად აფრენილი?—
მზე—სტალინი იღიმება,—ვინც დღეს არის ლენინი!

ალიო მირცხულავა (მაშაშვილი)

ჩვენ ლენინმა გვიანდერძა

ჩვენს გულებში სამუდამოდ
მზის შუქივით დაიბუდა,
რაც ლენინმა გვიანდერძა:
სწავლა!
    სწავლა!
        სწავლა მუდამ!

რომ სამშობლოს მთა და ბარი
კიდევ უფრო დავამშვენოთ,
გავაშენოთ მეტი ბაღი,
მეტი სახლი ავაშენოთ,

ჩვენ ლენინის დანაბარებს
არ ვივიწყებთ ერთი წამით,
გავახარებთ მშობელ მხარეს
შრომითა და კარგი სწავლით.

სიმონ შამფრიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო ნაკაშიძე

ნახატი **გ. როინიშვილისა**

ახალი წლის დილას

პაპა ანდუყაფარს ძალიან უყვარდა პატარა ანდუყაფარი—ანდუ, როგორც ყველა ეძახდა მას. პატარა ანდუსაც ძალიან უყვარდა თავისი მოხუცი პაპა—დიდი ანდუყაფარი. აქამდის ყოველთვის პაპას მოჰქონდა ანდუსათვის საახალწლო საჩუქრები, მაგრამ პაპა ავად არის და ახლა ხომ ანდუმ უნდა მიუტანოს საჩუქარი.

მაგრამ რა მიუტანოს?..

დიდხანს ფიქრობდა ანდუ და უცებ სახე გაუშუქდა:

— მოვიფიქრე,—შეჰყვირა მან,—პაპას თბილისის ზღვას ვაჩუქებ. როგორ გაეხარდება თბილისის ზღვის ნახვა!

ანდუმ მაგიდაზე დიდი ქაღალდი გაშალა, მაგიდის ზემოთ მსხვილი ასოებით განცხადება გააკრა: „არავინ მიეკაროს ჩემს მაგიდას, პაპასათვის საჩუქარს ვხატავ“. და დახატა ფერადი საღებავებით „თბილისის ზღვა“, შემდეგ დაჰკიდა კედელზე და შორიდან შეხედა. ნახატი მოეწონა, მაგრამ ჩაფიქრდა: — იქნებ პაპა ვერ მიხვდეს, რომ ეს „თბილისის ზღვაა?“ ამიტომ, ანდუ დაჯდა და მიაწერა სურათს:

„საყვარელ პაპა ანდუყაფარს, საჩუქრად „თბილისის ზღვა“ პატარა ანდუყაფარისაგან“.

ახალ წელიწადს დილით პატარა ანდუყაფარმა თავისი საჩუქარი პაპა ანდუყაფარს შეუტანა.

პაპასთან მისალოცად უკვე შესულიყო ანდუს მამა და დედა.

ანდუმ აკოცა პაპას ჭაღარა თავზე, თეთრ წვერზე და უთხრა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— საყვარელო პაპა, მე დავხატე შენთვის „თბილისის ზღვა“. — და ანდუმ სურათი პაპას საწოლთან დაჰკიდა. — აი, შეხედე! გახსოვს, ერთხელ, შენ, მამა და მე რომ ვიღექით მახათას გორაზე და ვუცქეროდით, მუშები როგორ თხრიდნენ მიწას სამი ტბის შესაერთებლად, მამამ რომ თქვა, სწორედ აქ იქნება ზღვაო? ჰოდა, ახლაც ვითომ ზაფხულია და ჩვენ სამივე ვდგევართ აი, აქ, მახათას გორაზე და სამი პატარა ტბის მაგივრად, ზღვას ვუცქერით, ხომ ხედავ, პაპა?

— როგორ არა, ჩემო ბიჭიკო, რა მშვენიერია!...

— რა მიხარია, პაპა, რომ მოგწონს! ხომ ხედავ როგორ ლივლივებს ზღვის წყალი... როგორ ამოდის მზე და მის შუქზე როგორ ფაციფუცობენ ოქროს ჩიტები; ნამდვილი ჩიტები კი არ გეგონოს, ეს მზის სხივები ლაპლაპებენ წყალში, შეხედე, პაპა, რა ლიდებულად იყურება „თბილისის ზღვაში“ მყინვარწვერი. ნახე, როგორ მოიგრაგნება კალაპოტში მდინარე, როგორც მტკვარი თბილისში!..

— მართლაცდა, საოცრად და მხიარულად მოჩხრიალებს შენი დახატული იორი, ჩემო ბიჭიკო! კარგია, რომ მდინარის ნაპირებზე მწიფე ყანები, ბალები, ვენახები და ბოსტნებიც დაგიხატავს; მალე გაახარებს ხალხს სამგორის მოსავალი. — ილიმება პაპა.

— რამდენი ყვავილები დაგიხატავს, ანდუ, გენაცვალოს დედა, — ამბობს ანდუს დედა.

— აი, ეს თეთრი ფრინველები თოლიები არიან, ხედავთ, როგორ გაეხარდათ ზღვის დანახვა?! გესმის, პაპა, როგორ ჟივჟივებენ? ნამდვილად კი ვერ გაიგონებთ ნახატზე, მაგრამ იმათ უყვართ ჟივჟივი და ამიტომ უნდა წარმოიდგინოთ... აი, ერთმა თოლიამ თევზი დაიჭირა ზღვაში და მიირთმევს!..

— ეს ივრის თევზია, თეთრი და გემრიელი... იჰ, რა კარგი ზღვაა!

— რა მიხარია, პაპა, რომ გასიამოვნა ჩემმა საჩუქარმა; აბა, ახლა ყური დაუგდე, რას ეუბნება ერთი თოლია მეორეს: ეს ზღვა ჩვენთვის გაუკეთებია იმ ხალხს, აქ რომ მუშაობდა და მღეროდა: წყალს გამოვიყვანთ და ზღვას გავაჩენთ, მდინარეს და ზღვას თევზით ავავსებთო...

— ასე ამბობენ თოლიები? — იცინის პაპა.

— ჰო! აგერ, ხომ ხედავ როგორ დახტის და მღერის ბოლოქანქალა: გადაბრუნებულ ბელტებში რაც ჭიაღუებია — ჩვენია, მოსავალი კი — თქვენიო.

— რა ჭკვიანი ყოფილა ის ბოლოქანქალა, — იცინის პაპა.

— მაშ, მაშ, ბოლოქანქალა ოც წელიწადს ცოცხლობსო და ჭკუას ვერ ისწავლიდა?!

— ჩემო ბიჭიკო, ჩემო კარგო ანდუყაფარ, რა კარგი სურათი მაჩუქე! ამისთანა საახალწლო საჩუქარი არავის უჩუქებია ჩემთვის; მაგრამ მეც მაქვს შენთვის საჩუქარი.

და პაპამ პატარა ანდუყაფარს აჩუქა პიონერის წითელი ყელსახვევი. აკოცა ბევრჯერ, ბევრჯერ, და უთხრა:

— შეინახე, ბიჭიკო, ეს ყელსახვევი და როდესაც პიონერთა ორგანიზაციაში მიგიღებენ, ატარე ღირსეულად და სასახელოდ. გახსოვდეს, რომ ამით გაახარებ იმას, ვინც კეთილი ცხოვრება მოგვიწყო: ვინც მოისურვა გაკეთებულიყო „თბილისის ზღვა“ და აყვავებულიყო სამგორის ველი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლო კალაძე

ნახატი გ. ფოცხიშვილისა

საახალწლო ნაძვის ხე

საახალწლო ნაძვის ხეო,
ღამით არც შენ იძინებ,
შენი ვერცხლის ვარსკვლავებით
ციმციმებ და ციმციმებ.

როცა მწვანე ტოტებს გაშლი
ბამბის თოვლში ჩაფლული,—
ტოტებს შვენით, როგორც ტალღებს,
ოქროს თევზი ზღაპრული.

სათამაშო მგლები ბნელში
თვალებს აბრიალებენ,
მაგრამ დავსჯით, ფაფუკ ბატკნებს
თუ არ შეიბრალებენ!

რა ლამაზად ამართულხარ
ალისფერი ალმებით;
ხეო, სანთლებანთებულო,
მღერით მოგესალმებით!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი შაგბერაშვილი

ნახატები **გ. როინიშვილისა**

ატმის კურკის ამბავი

მთელი ზაფხულის განმავლობაში აგროვებდა ატმის კურკას პატარა გივი. დღე ისე არ გავიდოდა, რომ დერეფნის კუთხეში მიდგმულ მის პატარა გოდორს რამდენიმე მუჭა კარგად გასუფთავებული კურკა არ მიჰმატებოდა.

საღილის შემდეგ, როდესაც სუფრაზე ახლად დაკრეფილ ატამს ამოიტანდნენ, კმაყოფილი ბიჭი თვალის ერთი გადავლებით დათვლიდა ატმებს და სახეზე სიხარული აღებეჭდებოდა.

— აბა, გივის გოდორი არ დაგავიწყუდეთ, კურკა ეზოში არ გადაყაროთ!—წამოიძახებდა გივის მამა და ბიჭს ქოჩორში ღიმილით ხელს მოსჭიდებდა.

საღამო ხანს დიდედა მარიამი ატმის საჩირად ტახტზე მოიკალათებდა, სათვალეს ზემოდან შვილიშვილს გადახედავდა და დერეფნის ბოლოსაკენ ანიშნებდა:

— აბა, კურკა ბიჭო, მოათრიე შენი გოდორი!

გივი გოდორს მოაცურებდა, იქვე ლასტთან ღადგამდა, დიდედა, კი პირმოცვეთილი შავტარა დანით ფცქვნიდა ატამს, შუაზე აპობდა, კურკას გოდორში ჩააგდებდა და მთქნარებით თვლიდა:

— ერთანამ—ორი... ორანამ—სამი... სამანამ—ოთხი... თოთხმეტანამ—თხუთმეტი...

ხანდახან მთქნარება აუტყდებოდა, ჩასთვლემდა, სათვალავს დაჰკარგავდა და თავის ჯავრს იქვე ატუზულ შვილიშვილზე იყრიდა.

— წადი, დაიძინე, ბიჭო, ნეტავ რას მაწვალებ ამდროულ დედაკაცს; აბა, რად გინდა ეს კურკები?!

— აკი გითხარი, თბილისის გარშემო ხილის ბაღები უნდა გააშენონ და სათესლედ ვაგროვებთ მეთქი. არც ერთი კურკა არ დაკარგო, ხომ იცი, თითო კურკაზე თითო ატმის ხე ამოვა!

აუხსნიდა გივი და ამაყად გადახედავდა თავის გოდორს, რომელიც თანდათან ივსებოდა და მძიმდებოდა. სიხარულით ივსებოდა გივის პატარა გულიც.

„ნამდვილად ყველას ვაჯობებ და რაზმის ხელმძღვანელიც მადლობელი დამრჩება“ — ფიქრობდა იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამდენ სიკეთეს დიდედა მარიამმა ბოლოს მარილიც მოაყარა: როგორც იქნა, გაიმეტა და თავისი ჭრელი ხურჯინი ათხოვა გივის, თან თავისი სული და გული გამოატანა.

ამ პატარა, ლამაზი ხურჯინით ჩამოიტანა გივიმ კურკები ქალაქში.

ჭრელი ხურჯინის დანახვაზე მთელი ეზო ახმაურდა. გივის ბიჭები შემოეხვივნენ. ყველაზე მეტად გივის კლასის ამხანაგი ლადო დაფაცურდა, ეზოს კარშივე მიეგება, ხურჯინი ჩამოხსნა, მხარზე შეიგდო და სანამ აივანზე აიტანდა, რამდენჯერმე ხელის გაკვრით მოსინჯა მძიმე ტვირთი.

— ბლომად კაკალი ჩამოგიტანია, ყოჩალ!

— ატმის კურკაა, ბიჭო!

— ატმის კურკაა?..

— დიახ, განა შენ კი არ შეაგროვე?

ლადოს ელდა ეცა. ახლალა გაახსენდა რაზმის ხელმძღვანელის დავალება... ლადომ მთელი ზაფხული ჩიტების დევნას და თევზაობას მოანდომა.

* * *

ქალაქში ჯერ ისევ ცხელოდა. დედამ გივის ლოგინი აივანზე გაუშალა და ხურჯინი აივნის ბოძზე ჩამოჰკიდა. გივის აივნის პირდაპირ, მეორე აივანზე ლადოს გაუშალეს ლოგინი: ლადოს არ ეძინებოდა, თვალწინ გივის ჭრელი ხურჯინი უდგა.

— არა, რატომ მე არ გამახსენდა ატმის კურკის შეგროვება, როგორ უნდა მაჯობოს მაგ მართლაც ატმის კურკამ?— ფიქრობდა ლადო და მის თვალს ძილი არ ეკარებოდა.

„მეც სოფელში გავატარე ზაფხული... ერთ კლასში მაინც არ ვიყოთ... ხვალ ეგ გაიმარჯვებს, მე კი შევრცხვები“...

უცებ თითქოს რაღაც სასაცილო გაახსენდაო, ჩუმი ხითხითი აუტყდა, შეეშინდა, არავინ გამიგოსო და თავზე საბანი წაიფარა.

როცა ეზოში სინათლე ჩააქრეს, ლადო ფეხაკრეფით წამოდგა და სიბნელეში ხელების ფათურით მიადგა გივის აივანს. კატასავით აცოცდა აივნის მოაჯირზე, ხურჯინი ფრთხილად ჩამოხსნა და ბნელი სარდაფის კიბეზე დაეშვა.

სარდაფის დერეფანში ათასგვარი ხარახურა ეყარა. ლადო ფეხს არიდებდა იატაკზე გაფანტულ ბურბუშელას, აგურის ნატეხებს, კუთხეებში დაგროვილ ნახერხს, დერეფნის ბოლოსაკენ მიძვრებოდა და ხურჯინსაც მიათრევდა.

მერე დერეფნის ბოლოში ჩამოჯდა და ხურჯინის გახსნას შეუდგა.

* * *

— აბა, შვილო, ფრთხილად იარე, ხურჯინი მძიმეა, ფეხი არსად დაგიცდეს!

— ჩანთის ტარებას მე ვუშველი, დეიდა!..—გადმოხტა თავისი კიბიდან ლადო.

— ხურჯინი არ დაკარგო, შვილო, თორემ დიდედას ვერ გადავურჩებით!— ღიმილით არიგებდა დედა სკოლაში მიმავალ გივის.

ხურჯინი მართლაც მძიმე მოეჩვენა გივის, აივნის ბოძიდან ჩამოხსნა და მხარზე წამოკიდება ლადომ უშველა.

ქუჩაში ბავშვები გამოშლილიყვნენ, ყიჟინითა და სიმღერით მიეშურებოდნენ სკოლისაკენ.

ამ დილით ლადო ყოველნაირად ცდილობდა გივის გულის მონადირებას; ხან წინიდან მოურბენდა, ხან გვერდიდან და ხურჯინის თვალს აუწევდა, რომ ტვირთის სიმძიმე გაეზიარებინა. ხითხითს ვერ იკავებდა და ხურჯინაკიდებულ ამხანაგს ჩქარი ნაბიჯით მიაკუნტრუშებდა სკოლისაკენ.

სკოლის ეზოშიც ერთი ალიაქოთი გამოიწვია ჭრელი ხურჯინის გამოჩენამ. ბიჭებმა ძლივს მიაღწიეს იმ ოთახს, სადაც ატმის კურკა უნდა ჩაებარებინათ.

— აი, ასე უნდა დავალების შესრულება! — ამბობდა კმაყოფილი რაზმის ხელმძღვანელი და ღიმილით ხსნიდა პირამდე გატენილ ჭრელ ხურჯინს.

ხელმძღვანელმა თასმის შეხსნა მოათავა, ხურჯინის თვალს გადაფარებული ნაჭერი მოხადა, შიგ ჩაიხედა და სახტად დარჩენილმა გივის ისე გადახედა, თითქოს თვალს არ უჯერებსო. გივის თავი ჩაეღუნა, ამდენი ქებით აწითლებული და დარცხვენილი აღელვებით ხსნიდა ხურჯინის მეორე თვალს.

— ეს რა არის, ბიჭო?! — მკაცრი ხმით შეეკითხა გაოცებული რაზმის ხელმძღვანელი გივის; გახსნილი ხურჯინიდან იატაკზე აგურის ნამტვრევები, ნახერხი და ბურბუშელა გადმოიფანტა. ბავშვებმა სიცილი ვერ შეიკავეს, ახარხარდნენ. გივი შემკრთალი და გაოცებული დასცქეროდა ხან იატაკს, ხან ხურჯინს. ყელში ტირილი ებჯინებოდა, თვალები ცრემლით ევსებოდა.

— ეს რას ჰგავს, უმაწვილო, რგოლის ხელმძღვანელს განა ასეთი საქციელი შეშვენის?! — ჯავრობდა აღელვებული და ნაწყენი ხელმძღვანელი.

— არა, პატივცემულო ხელმძღვანელო... აი, ლადომ იცის, რომ...

გაფითრებული ლადო წინ წამოდგა:

— გივი არაფერში დამნაშავე არ არის, სოფლიდან ხურჯინი ასევე ჩამოიტანა, ალბათ სოფელშივე იეშმაკა ვინმემ.

— იქნებ აქ იეშმაკა ვინმემ?

— აბა, რას ბრძანებთ, მე ცილს ვერავის დავწამებ, ის კი ვიცი, რომ გივი უდანაშაულოა!

ამ სიტყვებზე გივიმ თავი ველარ შეიკავა და ტირილი წასკდა.

(დასახრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ფორჩხიძე

ნახატი ვ. ბელეცკაიასი

ჩვენც გვეწვიეთ

ჩვენც გვეწვიეთ საახალწლოდ,
სულ ღია გვაქვს სახლის კარი;
წუხელ მოვრთეთ ეს ნაძვის ხე,
ნახეთ, რარიგ კარგი არი!

ჩამოვკიდეთ ჩურჩხელები,
სათამაშო ათასგვარი.
ზედ მშვიდობის მტრედიც შევსვით,
ღამაზია, კოხტა არი.

პაპამ გვითხრა: გაიხარეთ
და დიდხანს ნუ დაბერდებით.
თქვენც სამშობლოს სიყვარულში
დაგეთოვლოთ ჩემებრ თმები!..

ბებომ მოგვცა ტკბილეული,
საახალწლო საჩუქრები.
გვითხრა: ადრე დამეზარდეთ
სასახელო ჭაბუკები!

მამამ გვითხრა: კარგი სწავლით
მოიხადეთ თქვენი ვალი,
როგორც თოვლში ქვეყანაზეც
რომ დასტოვოთ წმინდა კვალი.

დედიღომ თქვა: მაღხაზებო,—
სულ სიხარულს დაგპირდებით,
გამომართვით ტკბილეული,
აგრემც ტკბილად დამიბერდით!

აგრემც ტკბილად დამიბერდით,
ქალ-ვაჟებო სანაქებო,
თქვენთვისა მაქვს შენახული
ტკბილეული საგანგებო!—

ჩვენც გვეწვიეთ საახალწლოდ,
სულ ღია გვაქვს სახლის კარი.
წუხელ მოვრთეთ ეს ნაძვის ხე
ნახეთ, რარიგ კარგი არი!

ილია სიხარულიძე

ჩიტუნების მასპინძელი

თოვს, თოვს, ჰაერში დგას
თოვლის კორიანტელი,
ფარფატა და ფრთაგაშლილი
ფანტელს მოსდევს ფანტელი.

ფაფუკ თოვლში ჩაფუმფლულა
ველ-მინდორი, მთა-ბარი;
მხეცებს ტყეში მოუნახავთ
მყუდრო თავშესაფარი;

მაგრამ რა ქნან ჩიტუნებმა,
ერთი ტოტიც არსად ჩანს
რაზე დასხდნენ, ამ ზამთარმა
ასე რატომ დასაჯა?!

მოდით ჩემთან, ჩიტუნებო,
აივანზე დასხედით!
საკენკს მოგცემთ, დავამწყვდიე
ფისუნია თავხედი.

თოვლში ყურშაც ვერსად მიდის,
თუმც კი არის გულადი...
თქვენ სად წახვალთ? ჩემთან დარჩით,
თუნდაც გაზაფხულამდი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



შოთა ძამაშვილი

ნახატი შ. ცხადაძისა

პირველად, ქალაქში

დედამ პატარა ვალიკო სოფლიდან თბილისში ბიძასთან წაიყვანა.

აგერ, ვალიკო უკვე მატარებელში ზის და ფანჯრიდან ცნობისმოყვარეობით ათვალიერებს საკოლმეურნეო ველ-მინდვრებს, კოპწია სოფლებს და ცამდე აზიდულ მთებს.

— დედა, რატომ გარბიან უკან ისინი?—ჰკითხა ვალიკომ დედას და თითი გაიშვირა მატარებლის გარეთ მდებარე საგნებისაკენ, რომლებიც მართლა საკვირველი სისწრაფით გარბოდნენ უკან.

— ისინი კი არ გარბიან უკან, ჩვენ მივდივართ წინ და გვეჩვენება, თითქოს, ჩვენ გაჩერებული ვართ და ისინი კი გარბიანო. — აუხსნა დედამ.

— მალე ჩავალთ ბიძასთან?

— მალე, შვილო, ბიძასაც ვნახავთ და თბილისსაც დავათვალიერებთ; ბიძაშენი ახლა თბილისში დიდ სახლს აშენებს, მშენებელი ინჟინერია.—დაუმატა დედამ და ფანჯრიდან დაანახვა:—აგერ თბილისიც!

ვალიკოს აქამდე არასოდეს ენახა ამდენი სახლები, მერე ასეთი დიდები და თანაც ასეთი მაღლები.

მატარებელი სადგურში გაჩერდა. დედამ ვალიკო ბაქანზე გადმოიყვანა, და რაკი ხელები ბარგით ჰქონდა დაკავებული, შვილს ურჩია, კაბის კალთისათვის ხელი არ გაეშვა.

ვალიკო მოხიბლა უცხო სანახაობამ: პირველი, რაც მან შენიშნა, ეს იყო სადგურის შენობა, რომელსაც მთელ სიგრძეზე ლამაზი, ღია დერეფანი მიჰყვებოდა. ვალიკომ ახლა უზარმაზარი ელმავალი დაინახა, საიდანაც ძრავის ძლიერი გუგუნი მოისმოდა, იქვე მახლობლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეისრემ მემანქანეს რაღაც ანიშნა, ელმავალმა გასვლის ნიშანი მისცა და მატარებელი ადგილიდან დაიძრა.

ელმავლის ხმამ ვალიკო შეაკრთო, მაგრამ არ შეიმჩნია: წარმოიდგინა, ვითომ თვითონაც ელმავალი მიჰყავდა,—ლოყები გამობერა, ხელები აამოძრავა და მატარებელს გაედევნა. ელმავალმა სვლას უმატა. მაშინ ვალიკომ მხიარული თვალებით გააცილა ვაგონები და დედისაკენ მოტრიალდა.

დედა აღარსად ჩანდა...

უცბად ვიღაცამ ვალიკოს ხელი მოჰკიდა და უკან დასწია, სწორედ ამ დროს მის წინ ჟურნალ-გაზეთებით დატვირთულმა თვითმავალმა ურიკამ ჩაიქროლა და ბავშვი ხიფათს გადარჩა.

ვალიკო მოიღუშა, ნუთუ დედა დაჰკარგა? საით წავიდეს ახლა? მაგრამ არ დაიბნევა! ყოჩაღი ბიჭია და ტირილისა ერცხვინება... ვალიკო მიხვდა, რომ ახლა დაკვირვებული სიარული იყო საჭირო და ამიტომ მიმავალ ხალხს გაჰყვა, თან გზადაგზა დედას გაფაციცებით დაეძებდა.

გაშლილ მოედანზე გასულ ვალიკოს უფრო მეტი სანახაობა გადაეშალა თვალწინ: აუარებელი მგზავრი ირეოდა, ავტომანქანები ყოველი მიმართულებით მიეშურებოდნენ, ბავშვმა სურათზე ნახული ტრამვაებიც იცნო...

ისევ სადგურისაკენ მიბრუნდა ვალიკო; მის თვალწინ სადგურის მშენებლობა გადაიშალა, რომლის შუაგულზე ოქროსფერ შუბივით ბრჭყვიალა სვეტი აღმართულიყო,—თავზე ხუთქიმიანი ვარსკვლავით. მშენებლობის დანახვაზე ვალიკოს ბიძა გაახსენდა: „ბიძაჩემი სწორედ აქ უნდა იყოს, უთუოდ დედაც აქ მოვიდოდა"—გაიფიქრა მან და აგურის წყობას ხარაჩოებამდე მიჰყვა. აქ უცხო მანქანები გუგუნებდნენ, რომლის ირგვლივ მშენებელი კაცები და ქალები ფუსფუსებდნენ, ხოლო მაღლა, დაუმთავრებელ კედლებზე ამწევ მანქანებს სამშენებლო მასალა აჰქონდათ.

მშენებელთა ჯგუფიდან ერთმა ქალმა ალერსიანად ჰკითხა ვალიკოს:

— ვის ეძებ, ბიჭუნავ?

— ბიძაჩემს. აგერ, ის უნდა იყოს!—უთხრა ვალიკომ და ერთ, ულვაშებიან კალატოზზე მიუთითა, რომელიც ყველაზე მაღალ ხარაჩოზე იდგა.

მშენებელ ქალს სურდა ბავშვი ხელში აეყვანა და ისე ასულიყვნენ იმ კალატოზთან, მაგრამ ვალიკო თითქოს მიუხვდა ამასო,—მან თითონ აირბინა სახელდახელო კიბეზე და შესძახა:

— ბიძია, აი, მე ჩამოვედი ქალაქში!—ისიც უნდა ეთქვა ვალიკოს: „დედას ავცდიო", მაგრამ ულვაშებიანი კაცი მისი ბიძა არ აღმოჩნდა. იგი მხოლოდ ულვაშებით წააგავს მას.

ვალიკო მიხვდა, რომ დედასთან ერთად ბიძაც დაჰკარგა და დაღონდა.

— ბიძაშენი ვინ არის, ან შენ თვითონ ვისი ხარ?—ჰკითხეს ბავშვს აქეთ-იქიდან.

— მე ვალიკო მქვია, ბიძაჩემი კი თბილისში სახლების მშენებელი ინჟინერია. აი, სწორედ ისეთი, როგორიც თქვენა ხართ, ძია!—უპასუხა მან ულვაშებიან კალატოზს.

ვალიკოს ნათქვამზე ყველას გაეცინა.

მშენებელმა ქალმა ბავშვი გულში ჩაიკრა და უთხრა:

— ნუ გეშინია, გენაცვალე, ბიძაშენს მალე მოვძებნით, აბა, შენი სახელი და გვარი მითხარი!

ამ დროს სადგურის ხმამაღლა მოლაპარაკე რადიოში გაისმა:

— ყურადღება, მოქალაქენო, დაიკარგა მცირეწლოვანი ბავშვი, სახელად ვალიკო. მას დედა ელოდება დედათა და ბავშვთა ოთახში.

მშენებლები ყველაფერს მიხვდნენ.

— დედა!—წაილუღლუღა ვალიკომ და თვალები დაეცრემლა.

მშენებელმა ქალმა ბავშვი ხელში აიყვანა:

— წამოდი, გენაცვალე, ახლავე ნახავ დედაშენს!—უთხრა მან და ბავშვი სადგურის დედათა და ბავშვთა ოთახისაკენ წაიყვანა.

მარიჯან ალექსიძე

ნახატი ვლ. ტოროტაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასში ჩურჩული არ შეიძლება!

მანანა და მაია სასწავლებელში ერთად მიიყვანეს. გოგონები დეიდაშვილები იყვნენ, ერთ ოჯახში იზრდებოდნენ და განუყრელად გაატარეს შვიდი წელიწადი.

მასწავლებელმა ალერსიანად მიიღო გოგონები და რადგან მაიას მაგრად ეჭირა მანანას ხელი, ორივე ერთად დასვა პირველ მერხზე.

როდესაც კლასში სიწყნარე ჩამოვარდა, მასწავლებელმა ბავშვების სახელის და გვარის ამოკითხვა დაიწყო.

რიგი მანანაზე მიდგა, მანანამ თამამად უპასუხა, მაგრამ მაიამ დაირცხვინა, თავდახრილი იჯდა და ხმას არ იღებდა.

— ეს გოგონა უსახელო ყოფილა,— იხუმრა მასწავლებელმა. ბავშვებმა გაიცინეს.

როდესაც დიდედა მივიდა ბავშვების წასაყვანად, მანანამ შესჩივლა:

— იცი, ბებიკო, მაიამ როგორ შეგვარცხვინა? ხმა არ ამოიღო. მასწავლებელმა სახელი ჰკითხა, მაია კი გაჩუმდა, ენა ჩაუვარდა, ისე გამაბრაზა, რომ...

— მერე შენ რატომ არ უჩურჩულე?— უსაყვედურა დიდედამ.

— აბა, როგორ შეიძლებოდა, მასწავლებელმა გაგვაფრთხილა: „კლასში ჩურჩული არ შეიძლებაო“,—მიუგო დინჯად მანანამ.

მაია კი უკმაყოფილო იყო თავის საქციელით და ჩუმად იცრემლებოდა.

დიდედამ ანუგეშა:

— არაფერია, ხვალ ეტყვი მასწავლებელს შენს სახელს და გაგიცნობს.

მეორე დღეს, მასწავლებელი როგორც კი შევიდა საკლასო ოთახში, ლოყებწამოწითლებულმა მაიამ დიდრონი თვალები მიაპყრო მასწავლებელს და ჩუმად იმეორებდა:

— მე კი მაია ვარ, მე კი მაია ვარ!

მასწავლებელმა ყური მოჰკრა ბავშვის ნათქვამს, გაუღიმა და უთხრა:

— აი, ბარაქალა! ახლა მეცოდინება, რომ შენ მაია ხარ!

მაიას სიხარულით, თვალები უციმციმებდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა ხახუბაშვილი

ნახატი ალ. ბანძელაძისა

პირველი დღე სკოლაში

გია დღეს პირველად მოიყვანეს სკოლაში. ცოცხალი თვალებით იხედება ბავშვი ირგვლივ. პატარა გოგო-ბიჭებს შეჰყურებს და უხარია, რომ ამდენი ამხანაგი ეყოლება. მათი აღმზრდელი დეიდა ლიზა ბავშვებს ალერსიანად თავს დასტრიალებს: ზოგს ლექსებს ათქმევინებს, ზოგს ამღერებს, ზოგი აცეკვა და პატარები ერთიათად წაახალისა.

— აბა, ბავშვებო, მე ახლა ერთ ამბავს წაგიკითხავთ.— თქვა მასწავლებელმა და წიგნის კითხვა რომ დაიწყო, გიამ ფანჯრისაკენ გაიხედა, მერე უცებ ადგილიდან წამოდგა და კარებისაკენ გასწია. მასწავლებელმა თვალი გააყოლა და დაყვავებით ჰკითხა:

— საით, გია! ასე მალე მოგწყინდა ჩვენთან ყოფნა?!

— მასწავლებელო, შეხედეთ, წვიმს!— მკვირცხლად მოტრიალდა გია:—სახლში მივდივარ, დიდედას ჩირების შეტანაში უნდა ვუშველო, თორემ ცოდოა... როცა სახლში არავინ არის, სულ მე ვშველი ხოლმე!—სხაპა-სხუპით განუმარტა გიამ მასწავლებელს და კარების სახელურს ხელი წაავლო.

— გია, აბა ცოტა ხანს ჩემთან მოდი! — წყნარი ხმით მიმართა მასწავლებელმა და მისმა მშვიდმა კილომ ბავშვი ხელად დაიყოლია. გია მასწავლებელთან მივიდა, მაგრამ მოუსვენრობა ემჩნეოდა. ამ დროს გარეთ წვიმამ მოუხშირა. გივიმ ფანჯრისაკენ კიდევ გაიხედა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— საწყალი დიდედა, ალბათ მელის... მასწავლებელო, ოღონდ დღეს გამიშვით... დიდედას ფეხები ძლიერ სტკივა და ნაწვიმარზე ძლივს დადის.

ბავშვმა ისეთი ხვეწნით შეხედა მასწავლებელს, რომ მან გიას ხელი მოჰხვია, თავის ადგილზე დასვა და ტკბილად უთხრა:—ნუ სწუხარ, გია, ყური დამიგდე, რა გითხრა: შენი დიდედა უსათუოდ მეზობლის ქალს მიიშველიებს და ჩირებს უსათუოდ დააბინავებს; შენ კი, რომ წახვიდე, დასველდები და ავად გახდები. მერე, გია, შენ ხომ ახლა სკოლაში ხარ! სკოლაში კი თავის დროზე უნდა მოხვიდე და თავის დროზე უნდა წახვიდე; აბა, მითხარი, შენი და-ძმები სკოლაში რომ დადიან,—განა სახლში მაშინ გამორბიან, როცა მათ მოესურვებათ?! სანამ გაკვეთილები არ გაუთავდებათ, მანამდის სკოლას ვერ დატოვებენ... ასე არ არის, ჩემო ბიჭუნა?!

გიამ თანხმობის ნიშნად მასწავლებელს თავი დაუქნია და დაწყნარდა. მასწავლებელმა მოთხრობის კითხვა რომ დაამთავრა, გიამ ღიმილით მიმართა მასწავლებელს:

— მასწავლებელო, ოღონდ მაგისთანა ამბავი კიდევ წაგვიკითხე და სკოლიდან სულაც არ წავალ!

ქეთევან ჭილაშვილი

ნახატი ვ. ბელეცკაიასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლის პაპა

აჩიკო და ლალი ელოდნენ ნაძვის ხეზე დაპატიჟებულ მეგობრებს და ფანჯრიდან იცქირებოდნენ.

— ლალი, შეხედე, რა კარგი თოვლის პაპა გაუკეთებიათ! — მიუთითა აჩიკომ ეზოში თავმომწონედ მდგარ თოვლის პაპაზე, რომელიც ნახშირის თვალებით იყურებოდა.

— მერე და, ეზოში რათ დასტოვეს, ხომ მოიწყენს, შესცივა კიდეც! — თქვა პატარა გოგონამ და ნაძვის ხეზე თოვლის პაპას მოწვევა მოისურვა.

— მართლა, რა კარგი იქნება! — ტაში შემოჰკრა აჩიკომ.

— თოვლის პაპა როგორ გამხიარულდება! — დაბეჯითებით თქვა ლალიმ, აჩიკოც დაეთანხმა და ხელიხელჩაკიდებულნი ეზოსაკენ წავიდნენ.

აჩიკომ თოვლის პაპა ორივე ხელით ასწია, გულზე მიიკრა და რის ვაი-ვაგლახით ოთახამდე მიიტანა.

ბავშვებმა თოვლის პაპა ნაძვის ხესთან წამოჭიმეს.

— რა კარგია, როგორ მოეწონებათ ბავშვებს ნამდვილი თოვლის პაპა! — თქვა სახეგაბრწყინებულმა აჩიკომ.

— მოეწონებათ, უთუოდ მოეწონებათ! — სიხარულით ცმუკავდა ლალი.

— დედას ჯერ არ ვუთხრათ, მოულოდნელად რომ ნახავს, გაუკვირდება! — სთხოვა აჩიკომ ლალის.

მალე აჩიკოს და ლალის სტუმრები ეწვივნენ.

— იცით, მე ნამდვილი თოვლის პაპა მყავს ნაძვის ხესთან! — უმალ ახარა თავის ტოლებს აჩიკომ და მეორე ოთახში შეუძღვა.

— აბა, სად არის? როგორია? — ცნობისმოყვარეობით დატრიალდნენ პატარები.

მაგრამ ოთახში თოვლის პაპა აღარ იყო. ნაძვის ხის ქვეშ კი მხოლოდ წყლის გუბე იდგა.

ბავშვები მიხვდნენ, რაც დამართოდა აჩიკოს „ნამდვილ თოვლის პაპას“, მათმა სიცილ-კისკისმა ოთახი აავსო.

ხმაურზე აჩიკოს დედა შემოვიდა ოთახში.

— ეს რა წყალია იატაკზე? — იკითხა მან.

ბავშვები პასუხის მიცემას ერთმანეთს არ აცდიდნენ.

— სად გაგონილა ოთახში თოვლის შემოტანა? — ჯავრობდა დედა და თან იატაკს ამშრალებდა.

— თოვლი კი არა, პაპა იყო!.. — თავი გაიმართლა აჩიკომ.

— ჰოდა... ტყეში წავიდა საჩუქრებისათვის! — დაუმატა ლალიმ.

ლალის ნათქვამმა ბავშვები უფრო გაამხიარულა.

— მაშ, სანამ თოვლის პაპა ტყიდან დაბრუნდება, ლექსები თქვით, იმღერეთ! — უთხრა ნინომ ბავშვებს.

პატარებმა ძლიერ მოილხინეს.

სამუშაოდან დაბრუნებული აჩიკოს პაპა თეთრებში გამოეწყო, დიდი ყავარჯენი აიღო და საჩუქრების ფერადი პარკებით დატვირთული მიესალმა ბავშვებს.

— თოვლის პაპა, თოვლის პაპა! — აჟრიამულდა ყველა ერთად.

— ხომ ვთქვი, ტყეში წავიდა და საჩუქრებს მოგვიტანს მეთქი! — სიხარულისაგან ციბრუტივით დატრიალდა ლალი, თოვლის პაპას საჩუქარი ჩამოართვა, პარკში ხელი ჩაჰყო და ხელში მოხვედრილი კამფეტი უმალ ჩააკნატუნა.

თამარ ჩხაიძე

ნახატები შ. ცხადაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძია და მზია

— ხვალ დილით რომ გავიღვიძებ, დიდი ვიქნები?—ამ შეკითხვით შინაურებს გულს უწყალებდა მზია.

— სოკო ხომ არა ხარ, რომ ეგრე სწრაფად გაიზარდო!—ეუბნებოდნენ მზიას და ალერსიანად გაუღიმებდნენ. ალბათ ამიტომ შესძახა სოფლიდან დაბრუნებულმა მზიამ მათი სახლის გვერდით ამართულ მაღალ შენობას: სოკო ხომ არა ხარ, ეგრე უცბად რომ გაზრდილხარო,—და მშენებლობისაკენ გაეშურა.

ეჰ, რამდენი ძიები მუშაობდნენ იქ! ზოგი სილას და კირს ნიჩბებით ზელდა, ზოგიც ღომივით დაზელილ სილას ვეება ვარცლებში ჰყრიდა.

— ძია, ძია, ჰაუ ძია, მანდ რას აკეთებ?—შეეკითხა მზია ხარაჩოზე მოფუსფუსე ძიას.

— არც ვხნავ, არც ვჭრი, არცა ვკერავ. აგურები ამყავს კედლად!—უპასუხა ძიამ მზიას და ამწევით ატანილ აგურებს ღონიერი ხელები შეაგება.

— ძია, ძია, ჰაუ ძია, მითხარი, გეთაყვა, ვის უშენებ ამ შენობას, მაღალს, ახალს და ლამაზს?

ძიამ გადმოხედა მზიას და გადმოსძახა:

შენი ძმისთვის, შენი დისთვის,
შენთვის, შენი მეგობრისთვის—
ჩვენ ვაშენებთ ახალ სკოლას!

— სკოლას, სკოლას მიშენებენ,—შესძახა გახარებულმა მზიამ და შინისაკენ გაეშურა.

მალე ის პაწია სათამაშო კასრით და ნიჩბით დაბრუნდა; სილის მზელ მუშებს გვერდით ამოუდგა და თავისი პაწია კასრი სილით აავსო.

— ჭრ, ჭრ, ჭრ,—აჭრიჭინდა ამწევი და ვეება ვარცლი მიწაზე დაეშვა.

— დამიცადეთ, დამიცადეთ, არ გაუშვათ ვარცლი ზევით!—შეევედრა ძიებს მზია და მთასავით ამაღლებულ აგურებისაკენ გაეშურა.

— ძიებო, თქვენი ჭირიმე, ეს აგური და ჩემი კასრიც გააყოლეთ!

— ჩასდე, ჩასდე, გოგონა!—უთხრა ღიმილით ბრიგადირმა და თავზე ხელი ალერსით გადაუსვა.

— ჭრ, ჭრ, ჭრ,—დაიძრა ამწევი და მზიას წითელმამლიანი პატარა კასრი წინსაფრიან მუშისაკენ გააქანა.

ძიამ გადმოხედა მზიას და ასე ჩამოსძახა:—მე უქნარა მეგონა, ეს გამრჯელი გოგონა!

[illegible] სილის კედლებში მზიას სახელით ერთი აგური ჩაატანა.

5413

ეროვნული ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბუნების კარი

უცნაური ნერგი

პატარა რეზომ მდინარეში ბანაობისას რაღაც უცნობი მცენარე შენიშნა. რეზომ მცენარეს ხელი სტაცა და ნაპირზე გამოიტანა. ეს იყო პატარა, გრძელფესვებიანი ნერგი.

რა ლამაზია, მოდი, წავიღებ და ჩემს ბოსტანში დავრგავ.—გაიფიქრა რეზომ, ტანთ ჩაიცვა და ნერგი დედას მიურბენინა; ყურადღებით გასინჯეს ეს უცხო მცენარე, ვერ იცნეს, მაგრამ მაინც წაიღეს და რეზოს პატარა ბოსტანში დარგეს.

რეზო თავის პაწაწინა ხეს მალიმალ რწყავდა, ძირსაც შემოუთოხნიდა ხოლმე.

ნელა იზრდებოდა ეს ლამაზი მცენარე; ზამთარ-ზაფხულ ვერცხლისფერი, მოგრძო ფოთლებით იყო დაფარული.

ოთხმა ზაფხულმა გაიარა. რეზო ახლა უკვე მეექვსე კლასის მოსწავლე იყო.

ივნისის ერთ დღეს რეზომ თავისი ხის წვრილ ტოტებზე სურნელოვანი პატარა ყვავილები შეამჩნია. რამდენიმე დღის შემდეგ ეს ყვავილები ჩამოცვივდა და პაწაწინა მწვანე ნაყოფი გამოჩნდა. ნაყოფი დღითიდღე მსხვილდებოდა.

ერთხელ რეზომ ნაყოფი მოწყვიტა და ჩაკბიჩა, მაგრამ დაიღრიჯა და შორს გადაისროლა: ჯერ მკვახეაო, გაიფიქრა.

შემოდგომა მიიწურა, თითქმის ყველა ხილი მოილია, ამ უცნობი ხის ნაყოფი კი დღითიდღე იზრდებოდა და თანდათანობით ფერს იცვლიდა: ჯერ მკრთალი იისფერი იყო, შემდეგ კი გამუქდა, გაშავდა, ზედ წინწკლები დაიყარა, ლამაზი ფიფქიც გადაიკრა; ახლა უკვე მწიფეა,—გაიფიქრა რეზომ და კვლავ გემო გაუსინჯა; ნაყოფი მწარე აღარ იყო, მაგრამ მწკლარტე გემო მაინც ჰქონდა.

ახლა უკვე მოთმინება დაეკარგა რეზოს, მან რამდენიმე ნაყოფი მოგლიჯა, უბეში ჩაიყარა და კოლმეურნეობის კანტორას მიაშურა.

— ბიძია, თქვენთან მოვედი.—უთხრა მან კოლმეურნეობის აგრონომს ელიზბარს და უცნაური ხის შესახებ უამბო.

— აბა, წავიდეთ, მაჩვენე შენი უცნაური მცენარე.—თქვა ბიძია ელიზბარმა.

ელიზბარმა გასინჯა ახალგაზრდა ხე, კმაყოფილებით გაიცინა და უთხრა:

— ამ მცენარეს ზეთისხილს ეძახიან. მისი ნაყოფიც და ხეც ძლიერ ძვირფასია.

— ცუდი გემოსი რომ არის? ხეც ძლიერ პატარა გაიზარდა.—გაკვირვებით თქვა რეზომ.

— რაკი ძლიერ გინდა იცოდე მისი ამბავი, მაშინ ასე მოიქეცი; ხვალ დედას სთხოვე საღამოს ჩემთან გამოგიშვას. მე იქ მიგიყვან, სადაც ამ მცენარეს კარგად გაიცნობ.

რეზო სიხარულით დათანხმდა.

ბიძია ელიზბარმა დაპირება შეასრულა. რეზო მანქანაში ჩაისვა და მეზობელ სოფლისაკენ გააქანა.

ახლა ორივენი გრძელწვერა, ჩიბუხიან ბაბუა იონას ეზოში იდგნენ და ზეთისხილის ვეებერთელა ხეებს შეჰყურებდნენ.

— აი, ჩემი მცენარე ამოდენა იყო, წყალში რომ დავიჭირე,—აღფრთოვანებით ამბობდა რეზო და ძირებიდან ამონაყარ ნერგებზე უთითებდა.

— შენი ნერგი ნამდვილად აქედანაა!—თქვა ბაბუა იონამ,—სწორედ იმ წელს, როცა ის იპოვე, ხანგრძლივი წვიმები იყო, წყალმა ერთი ძირი წამართვა; მიხარია, შენისთანა კარგ ბიჭუნას რომ უპოვია.

— აბა, თუ მეტყვი, რა ხნისანი იქნებიან ეს ხეები?—ჰკითხა მოხუცმა. რეზომ ვერაფერი უთხრა, მაშინ ისევ მოხუცმა განაგრძო:

— ეს ხეები პაპაჩემის პაპას დაურგავს, ასე რომ ორასი წლისა მაინც იქნებიან.

— განა ამდენხანს ცოცხლობს ეს ხე?—გაიკვირვა რეზომ.

— ჩემო რეზო,—უპასუხა ბაბუა იონას მაგიერ ბიძია ელიზბარმა,—ეგ კი არა, ზოგიერთ ქვეყნებში ახლაც მოიპოვებიან ორი-სამი ათასი წლის ცოცხალი ხეები; საქართველოს იმ მიწა-წყალზე, რომელსაც ართვინს ეძახიან და რომელიც ახლა თურქებს აქვს მიტაცებული, ამ ოცდაათი წლის წინათ, ასი ათასამდე ძირი ზეთისხილის ხე ხარობდა, ბევრი მათგანი ათასი წლისა და მეტისაც იყო. ამჟამად შავი ზღვის სანაპიროზე, ახალათონში, ზეთისხილის ვებერთელა პლანტაციაა გაშენებული, სადაც ასეთი ხეები ხარობს და ნაყოფსაც იძლევა. ახლა ვცდილობთ, ბევრი გავაშენოთ ეს სასარგებლო ხე. ზეთისხილის ხეები საქართველოში თითქმის ყველგან ხარობენ.

— განა ასეთი სასარგებლო ხეა?—ჰკითხა რეზომ.

— რა თქმა უნდა,—მიუგო ელიზბარმა. ამ ხის მერქანი ძლიერ მაგარია, მისგან სკამებს მაგიდებს, კარადებს და სხვა ძვირფას საგნებს აკეთებენ, ფოთოლს კი საქონელს აჭმევენ.

ამ დროს პატარა გოგონამ თიხის ქილა, კოვზები და ლამბაქები მოარბენინა. ბაბუა იონამ ზეთისხილის ნაყოფი ლამბაქებზე დააწყო და სტუმრებს შესთავაზა.

რეზოს ძლიერ მოეწონა ეს ხილი და ზედიზედ რამდენიმე ცალს შეექცა.

— ბაბუა იონა, რა გემრიელი რამ ყოფილა! ჩემი რომ ასეთი არ არის?

— შენიც ასეთი იქნება, თუ ნაყოფს კარგად მოუვლი. აი, ახლა ზეთისხილი უკვე მწიფეა, მოკრიფე, სამიოდე დღეს მზეზე დაჭყარე, შემდეგ ქილაში ცოტა-ცოტა ჩააწყვეს ზედ მარილი დააყარე; მაშინ ასეთივე გემრიელი იქნება.

ზეთისხილის ზეთი და ნაყოფი კარგი საშუალებაა სხვა და სხვა ავადმყოფობის განსაკურნავად; ამ ზეთისაგან ჭრილობის სამკურნალო მალამოსაც აკეთებენ.

— იგი ვიტამინებსაც დიდი რაოდენობით შეიცავს,—დაუმატა ელიზბარმა,—მისი დაბალი ხარისხის ზეთისაგან საუცხოვო საპონს აკეთებენ. ზეთისხილის კურკისაგან გამოხდილ ზეთს თვითმფრინავების და სამხედრო ხომალდების ნაწილების წასასმელად ხმარობენ.

— თუ ასეთი კარგი ხეა, ჩემი რაზმის პიონერებსაც დავარგვევინებ, მაგრამ ნერგები სად ვიშოვო?

— აბა, აიღე ნაყოფის კურკა და გატეხე! — უთხრა აგრონომმა.

რეზომ ჯერ კბილით გასინჯა, შემდეგ კი ქვითაც ძლივს გატეხა.

— უჰ, რა მაგარია!—დაიძახა რეზომ.

— ეს რომ დათესო, ორი-სამი წლის შემდეგ ამოვა, ამიტომ ხშირად ზეთისხილის კურკას წვერს წასტეხენ ხოლმე და ისე თესენ.

ასეთი კურკა ორ-სამ თვეში ამოდის, მაგრამ ზეთისხილის გამრავლება ტოტითაც შეიძლება; ხეს რომ მომსხო ტოტი მოსჭრა, ფოთოლი და წვრილი ტოტები მოაშორო ეს იქნება კალამი. მისი სიგრძე დაახლოებით შენი ორი ციდისოდენა უნდა იყოს. კალამი მიწაში უნდა ჩაარჭო,—სულ მოკლე დროში იგი ფესვს გაიკეთებს. ასეკე შეგიძლია, შენს ხეს კალმები აჭრა და მეგობრებს დაურიგო დასარგავად.

— რაკი ასეთ კარგ საქმეს აპირებ, ჩემო რეზო, ნერგებს მე გაჩუქებ. — მხიარულად უთხრა ბაბუა იონამ, ბარი მოიტანა და ხის ძირის გარშემო ამონაყარი პატარა ნერგები ამოთხარა.

ერთი საათის შემდეგ რეზო მანქანით მიჰქროდა შინისაკენ. ხელში ნაჩუქარი ნერგები ეჭირა და სიხარულით ფიქრობდა, თუ როგორ დაამშვენებდა სკოლის ეზოს ეს ლამაზი და სასარგებლო ხე.

ოთარ ნულუკიძე

30/32. 5 36/48



ეროვნული ბიბლიოთეკა

თინათინ კვირიკაძე

ნახატი რ. ხტურუასი

ახალი ბინა

ავთანდილის ეზოში
დიდი ფაცი-ფუცია,
ბარგი მაგრად შეუკრავთ
და მანქანას უცდიან.
ავთანდილიც ტრიალებს,
ხუმრობა ხომ არ არის!
დღეს პატარა ბიჭუნა
ახალ სახლში გადადის.
ბიჭი არის გულადი,
უფროსების დამჯერი.
ბინა დიდი ექნება
განიერი ფანჯრებით.

მას თავისი ოთახი
მეტისმეტად ახარებს.
აქეთ წიგნებს დააწყობს,
იქით—ფერად ქაღალდებს.
სათამაშო ლურჯას ხომ
გააჭენებს თამამად!
თაროებზე კუბიკებს
დაალაგებს თანაბრად.
სათამაშო მაგიდას
დაუმშვენებს ფარხმალი.
ახალისებს ჰატარას,
ბინა ახალთ-ახალი.

ყდის მხატვრობა ეკუთვნის შალვა ცხადაძეს

რედაქტორი რევაზ მარგიანი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ე.კ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, მაყვალა მრევლიშვილი, (მდივანი), ი. სიხარულიძე, ნ. ფუნაფქოშვილი, შ. ცხადაძე.

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 1, Январь 1952 г. Тбилиси, Ленина 14. Детгиздат Грузии
საბჭოგამ. რედაქციის მისამართი: თბილისი ლენინის 14. 3 სართ. ტელ. 3-57-38
გამომც. შეკვ. № 616 სტამბის შეკვ. № 1438 3090 ტირაჟი 150.000 უე 06620 ტექსტი ანყობილია ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში. ჟურნალი დაბეჭდილია ოფსეტის სისტემის მანქანაზე „ზარია ვოსტოკას“ სტამბაში: თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 42